შეთანხმება

ქ. ნინოწმინდა **19.10.2021 წელი**

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ოვალი’-ს შორის 30.09.2021წ. გაფორმებული N-39 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე .

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი’’) მერი მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე მიქელაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ოვალი’’ წარმოდგენილი მისი დირექტორის, დიმიტრი არჩვაძის -ის (შემდგომში მომწოდებელი),სახით **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების 36-ე მუხლის, N 39** ხელშეკრულების **მე–17** მუხლის, მიმწოდებლის N 15/6336 18.10.2021 წლის წერილების და ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილი 19.10.2021 წლის N 113 ოქმის თანახმად ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ((NAT210016795) **ტენდერის შედეგად 30,09,2021 წლის N 39 გაფორმებული ხელშეკრულების მე-17 მუხლის 1. პუნქტით 3 მუხლი ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით:**

ნინოწმინდაში ტერიანის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოების დაწყება უნდა მოხდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების შესაბამისად.

2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების წინამდებარე ცვლილება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
ხელშეკრულების სხვა პუნქტები, რომლებშიც არ არის შესული ცვლილება, რჩება უცვლელად და წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ პირობას.

3 წინამდებარე ცვლილება შედგენილია ელექტრონულად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, აქვს იურიდიული ძალა.

5. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43
ს/ს ,,ლიბერთი ბანკის’’ ნინოწმინდის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE51LB0120146252122000
ს/კოდი 236689669

Aleksandre Mikeladze
Digitally signed by Aleksandre Mikeladze
Date: 2021.10.19 16:01:46 +04'00'

ა.მიქელაძე

მომწოდებელი: შპს ,,ოვალი

მისამართი: ქ.თბილისი, გ.მიროტაძის #12
საიდენტიფიკაციო კოდი: № 405051170
ტელეფონის ნომერი: 555144664 საბანკო რეკვიზიტები: სს,,საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE28BG0000000842222400

დ. არჩვაძე

15 17.10.2021

სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიას

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულება №39-ის მიხედვით ვასრულებთ წმინდა ნინოს ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოებს (მრავალწლიანი შესყიდვა).

2021 წლის 12 ოქტომბერს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინდის წმინდა ნინოს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონმა მოგვწერა წერილი რომელშიც აღნიშნულია, რომ 2021 წლის განმავლობაში ჩასატარებელი მოსამზადებელი და ნაწილი სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დისკომფორტს შეუქმნის პანსიონის ფუნქციონირებას და გვთხოვენ მთლიანი სამშენებლო სამუშაოების წარმოების დაწყებას 2022 წლის გაზაფხულიდან (როდესაც იქნება შესაფერისი ამინდები, 2022 წლის აპრილის ბოლოდან).

შპს „ოვალი” თანახმაა მთლიანი მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების წარმოება დავიწყოთ 2022 წლის გაზაფხულიდან, შესაბამისი შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული.

პატივისცემით,

შპს „ოვალი”-ს

დირექტორი: დ.არჩვაძე

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
ქ. ნინოწმინდის წმიდა ნინოს
მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა
პანსიონი

N(N)LE Georgian Patriarchate's
St. Nino Boarding School of
Ninotsminda for Orphans

№55 12/10/2021

შპს „ოვალის“ (ს/კ№405051170) დირექტორს
ბატონ დიმიტრი არჩვაძეს

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 30 სექტემბერს დადებული №39 ხელშეკრულების პირობების თანახმად თქვენ ახორციელებთ ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინდის წმინდა ნინოს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის“ მინი სტადიონის სამშენებლო სამუშაოებს.

ფაქტია, რომ მშენებლობის პირველ ეტაპზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოების დასრულება და ზოლიანი ბეტონის საძირკვლის მოწყობა. გთხოვთ, გადადოთ სამუშაო პროცესი გაზაფხულის პერიოდამდე (მარტი, აპრილი), რადგან ეს შეუქმნის დისკომფორტს პანსიონის ფუნქციონირებას ზამთრის განმავლობაში.

ღმერთმა დაგლოცოთ,
პატივისცემით,

დირექტორი

მთავარეპისკოპოსი იაკობი (კონსტანტინე იაკობიშვილი) + იაკობი

ტერიანის ქ. № 11
ქ. ნინოწმინდა, საქართველო
Teriani str. № 11; Ninotsminda, Georgia

ს/კ 436683297
I/D 436683297

+995 595 150 005
+995 598 096 282
stninoboardingschool@gmail.com

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია

სხდომის ოქმი

N 113 19/10/2021

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის
სამუშაო ჯგუფის
ოქმი

სხდომას ესწრებოდნენ: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი არტურ შირინიან, შესყიდვების სამსახურის უფროსი ვლადიმერ ჩალათაშვილი, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი არმენ ბდოიან, საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი ნორიკ სააკიან, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი არარატ დარბინიან

დღის წესრიგი:

შპს ,,ოვალის'' დირექტორის 2021 წლის 17 ოქტომბრის #15 წერილის (სარეგისტრაციო ნომერი 15/6336, 18.10.2021წ.) განხილვა სამუშაოების დაწყების ვადის შეცვლის თაობაზე

<u>მოისმინეს</u> : არტურ შირინიან სხდომის დამსწრეებს გააცნო შპს ,,ოვალის" დირექტორის 2021 წლის 17 ოქტომბრის #15 წერილის შინაარსი სადაც, მერიასთან 30.09.2021წელს დადებული # 39 ხელშეკრულების პირობების თანახმად ითხოვს ქ. ნინოწმინდის წმინდა ნინოს მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა პანსიონის მინი სტადიონის სამუშაოების დაწყების ვადის შეცვლას .

<u>სიტყვით გამოვიდნენ</u> : **ა.ბდოიანმა და ა. დარბინიანმა შესთავაზეს ყურადღება მიექციათ** შპს ,,ოვალის" დირექტორის 2021 წლის 17 ოქტომბრის #15 და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინდის წმინდა ნინოს მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა პანსიონის დირექტორის კ. იაკბიშვილის 2021წლის 12 ოქტომბრის #55 წერილების მიზანშეწონილობას.

<u>დაადგინეს:</u> ქ. ნინოწმინდის წმინდა ნინოს მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა პანსიონის მინი სტადიონის სამუშაოების დაწყება უნდა მოხდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების შესაბამისად , მერიასთან 30.09.2021წელს დადებული # 39 ხელშეკრულების პირობების მიხედვით (შესაბამისი წერილები თან ერთვის).

არტურ შირინიანი




პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ზედამხედველობის სამსახური

ვლადიმერ ჩალათაშვილი




პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
შესყიდვების სამსახური

არმენ ბდოიან




პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

ნორიკ სააკიან



მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
საბიუჯეტო დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილება

არარატ დარბინიანი



მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის განყოფილება